



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

5 ოქტომბერი 2012 წელი

ბრძანება №204

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების თემის ტერიტორიის
ცოფის დაავადების მხრივ არაკეთილსაიმედოთ გამოცხადებისა
და შეზღუდვების დაწესების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს 55-ე მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალური სამმართველოს ამ/წ. 4 ოქტომბრის №138 მომართვის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ტერიტორია გამოცხადდეს არაკეთილსაიმედოდ, ცოფის დაავადების მხრივ.

2. არაკეთილსაიმედო ტერიტორიაზე დაწესდეს შეზღუდვები (პირუტყვის შემოყვანა, გადაადგილება).

3. დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალური სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ცოფის სალიკვიდაციო ღონისძიებათა გეგმა, თანდართული დანართის შესაბამისად.

4. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალური სამმართველოსთან ერთად განახორციელოს ცოფის სალიკვიდაციო ღონისძიებები.

5. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალურ სამმართველოს.

6. კონტროლი ცოფის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს (ლავრენტი ქვილორიას).

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

8. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი